ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

I V. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 24 მარტი № 1419

...ეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ბრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ს-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...ობაში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

## განცხადება.

ბაქოში ქართველთა მიერ შემდგარმა ამხანაგობამ „ივერია“,
...ლსაც საგნად აქვს ნავთის და ყოველგვარ მთა-მადნეულობის საქმის წარმოება, ...აილო იჯარით ნავთიანი მიწა სანავთო აგარაკ „საბუნჩაში“ და ამ მოკლე ხანში აპირებს შეუდგეს ნავთის საწარმოებელ მუშაობას.
...თანავე, საქმის გასადიდებლად და მკვიდრ ნიადაგზე დასამყარებლად, ამხანაგობამ საჭიროდ სცნო—ძირითადი თანხა გაადიდოს და ამის გამო გამოსცეს

**დამატებითი პაები, თითო პაი ას (100) მანეთად ღირებული.**

...ნი ამხანაგობისა, ვაუწყებთ რა ზემოხსენებულს, უმორჩილესად ვთხოვთ, ვისაც დამატებითი პაის შეძენა ჰსურს, მოჰმართოს ამხანაგობას შემდეგის ადრესით:
...ъ гор. Баку. Князю Іосифу Іюлоновичу Дадіани. Въ контору торгово-про...еннаго товарищества „Иверія“, по Меркурьевской ул., въ домѣ Арафелова.

**ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფული.**

გამგენი ამხანაგობისა სამთო ინჟენერნი
თ. ი. ი. დადიანი.
თ. დ. გ. ჯორჯაძე.
პ. გ. ბრაილოვსკი.

...—6)—6

ტფილისის კერძო
**ამკურნალო**
...ამკურნალის გედევანიშვილისა.
...ოვებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,
დილით:
...ო. ჯიჯიხაძე—კბილის სნეულებანი 8—...ათამდე.
...ექიმი ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და ...ბა ელექტრობით—9—10 ს.
...ა მულინი—ყურისა, ყელის და ცხვირი-...1—12 საათამდე.
...ე. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი ...2 საათამდე.
... შატილოვი—თვალის 11—12 ს.
...ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვების 11—12 ს.
...ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინა-...12—1 საათამდე.
...დ. მარკევიჩი—სიფილისური—$12^1/_2$ ...საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
...ე. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და ...ისი—$1^1/_2$—2 საათამდე.
... ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვებისა ...საათამდე.

საღამოთი:
...ა. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი ...6 საათამდე.
... პელთოგლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე-...ა 5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

## მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას: გენერალ კოტლიარევსკის გრენადერთა მე-14 საქართველოს პოლკის პოდპრაპორშჩიკს ჯაფარიძეს ებოძა პოდპორუჩიკობა.

ამიერ-კავკასიის პოლიციის უმცროს დარაჯებს ვანო ოქროაშვილს, ვასილ გოგიჩაშვილს და ფიდო ბეკოშვილს თელავის მაზრაში ავაზაკების დაჭერის დროს სიმამაცის აღმოჩენისათვის ებოძათ ვერცხლის მედლები ზედ-წარწერით: „სიმამაცისათვის“ წმ. გიორგის ლენტით გულზე სატარებლად.

—

იუსტიციის მინისტრისაგან დამტკიცებული ამა 1901 წელს მამულების გასამიჯნავ გეგმა:

ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრა.

აგარაკი სამწყარო. ივლისში. გამმიჯვნელი მიწის მზომელი ხოლინი.

აგარაკი მეორე თორმენაული. ივლისში. გამმიჯვნელია იგივე.

აგარაკი წყნარი. აგვისტოში. გამმიჯვნელია იგივე.

აგარაკი ქვემო-ხვითი. აგვისტოში. გამიჯნავს მიწებს იგივე.

აგარაკი მეღვრეკისი. სექტემბერში. გამმიჯვნელი იქნება უფროსი მიწის მზომელი გეურქოვი.

დოესის ტყე. მაისში. გამმიჯვნელი იქნება უფროსი მიწის მზომელი ნისენკო.

## სამეურნეო ბანკის წევრთა კრება

—

ხვალ, 25 მარტს, დანიშნულია ჩვენის სამეურნეო ბანკის წევრთა წლიური კრება.

როგორც სჩანს ბანკის მოქმედების ანგარიშიდან, 1900 წლის განმავლობაში სამეურნეო ბანკს დაუტრიალებია 7.240.230 მან.; 1899 წელთან შედარებით 1.143.201 მანეთით მეტი. კერძოდ, მოუმატია: მიმდინარე ანგარიშების ოპერაციას 145.767 მანეთით. ვადით მიბარებულ თანხის ოპერაციას 41,745 მ.; აგრეთვე მოუმატნია: ძირის თანხას 3915 მანეთით, თამასუქების განაღდებას 66.964 მანათით დ ვადიან ქაღალდების—4402 მან.; მოუმატნია სესხებს: სარგებლიან ქაღალდების გირაოთი 4348 მანათით და სამეურნეო ნაწარმოების გირაოთი 364 მ.; ოპერაციების შემცირება დაეტყო: უვადოდ მიბარებულ თანხასა და საქონლის გირაოთი გაცემულ სესხებს, პირველი შემცირებულა 14 028 მანათით და მეორე—15.025 მანათით. ჩაირიცხა ზარალში 489 მან. პროტესტში მიცემულ თამასუქებისა და 275 მან. სარგებლიანი ქაღალდებისა. საანგარიშო წელს სარგებელი აუღია ბანკს 34.292 მან., 6123 მანათით მეტი, ვიდრე წინა წელს. დივიდენდად მიეცემა წევრს 7 მან. ყოველ ას მანეთზე.

ამ მოკლე ცნობებიდან, რომელიც ჩვენ ამოვიღეთ ანგარიშიდან, ჩანს, რომ სამეურნეო ბანკის ზრდა-განვითარება არ შეჩერებულა საანგარიშო წელსაც. თუ გავიხსენებთ, რომ გასული წელიწადი არ იყო სახეირო ფინანსიურ მდგომარეობის მხრივ, რომ ფულის კრიზისი სხვა და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზეზებისა გამო დაეტყო ყველა საქმეებსა და ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობას მთელს იმპერიაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენის ბანკის მოქმედება გასულ წელს თვალსაჩინო და სახეირო ყოფილა.

როგორც წინადაც არა ერთხელ შეუნიშნავს ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, ეხლაც უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო გარემოება, რომ ბანკის სასოფლო-სამეურნეო ოპერაციები არ ცხოველდება. საანგარიშო წელს, მართალია, ბანკს მეტი სესხი გაუცია სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების გირაოს ქვეშ, მაგრამ ეს მომატება ერთობ მცირეა—სულ 364 მან.; შარშანდელმა წლიურმა საზოგადო კრებამ გამოთქვა სურვილი, რომ ბანკს მიექცია შესაფერი ყურადღება ამ საჭირო საქმისათვის. ბანკის მმართველნიც არ იყვნენ ამის წინააღმდეგნი, ხოლო თუ საქმე ისევ წინანდელ მდგომარეობაში დარჩა, ამას, ალბად, თავისი პატივსადები მიზეზები აქვს. აუცილებლად საჭიროა, კრებამ გაითვალისწინოს ეს მიზეზები და, შესაძლებელია, გამოსძებნოს ღონისძიებანი, რომელთა შემწეობით შეიძლებოდეს სამეურნეო ბანკის მოღვაწეობის გაფართოვება აღნიშნულს სფერაში.

გარდა ამისა, ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ საანგარიშო წელს ბანკს ნაკლები სესხი გაუცია საქონლის გირაოს ქვეშ. სამეურნეო ბანკის კლიენტები უმეტეს შემთხვევაში ქართველი ვაჭარ-მრეწველებია. ჩვენს დროში მეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენა ცხადზე უცხადესია და ჩვენებურ საკრედიტო დაწესებულებათა მოვალეობაა ენერგიულად შეუწყონ ხელი ხალხის ამ მხრივ მოღვაწეობას. სამეურნეო ბანკი თვალსაჩინო დახმარებას აღმოუჩენს ჩვენს ერს, თუ წვრილ ვაჭართა და მრეწველთ გაუადვილებს სესხის აღებას.

ამ რიგად, ჩვენს სამეურნეო ბანკს, ჩვენის ფიქრით, ორი დიდი საქმე აქვს: გააფართოვოს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ოპერაციები და გააძლიეროს საქონლის გირაოთი სესხის გაცემის საქმე წვრილ ვაჭარ-მრეწველთათვის. ამ ბანკის აარსებიდან ჯერ ხუთ წელიწადსაც არ გაუვლია; ეს, რასაკვირველია, დიდი დრო არ არის იმისთვის, რომ ბანკი გამაგრებულიყოს და გაძლიერებულიყოს; სასწაულს მას ვერ მოვთხოვთ, მაგრამ, უეჭველია, ამ თავითვე

## ფელეტონი

—

...ტაპენკოს „გამარჯვებიდან“.

...რობა ბ-ნ პოტაპენკოსი „გამარჯვება“. ...ъ Божій“, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი).

...ული საუკუნის უკანასკნელ თვეებში ...ტაპენკომ შექმნა ხელოვნური სარკე, ...მშიაც ცხადად და ყველასათვის გა-...დ სჩანს სრულად დიდიდამ პატრამდის, ...იდან უმცროსამდის ერთი დიდად ...ვემული უწყება. ამ სარკეს სახელად ...ბა „გამარჯვება“. თუ თავიდან ჩაი-... ამ სარკეში, დაინახავთ იმ თონეს, ...მშიაც ცხვება ამ წოდების უმრავლე-...და თან გაიგებთ, როგორ ცხვება. აი, ...ეს სარკეც: *)

„თქვენ უნივერსიტეტისაკენ მისდი-... ჰკითხა ქალმა.—უკვე აირჩიეთ?

...ე, ავირჩიე კი არა,—უპასუხა წყე-...ალგაზდა ყმაწვილმა,—არაფერიც არა ...ვია-რა.

— როგორ? განა არავითარი მიზანი არა გაქვთ?

— ეჰ, რა ვიცი, ჩემთვის სულ ერთია... უფრო აღელვებით წარმოსთქვა ახალგაზდამ.

— თქვენ ხომ ბოტანიკა გიყვართ, ვასილი გრიგოლის ძევ... მაშ, ჩაეწერენით ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე.

— ბოტანიკა... ბოტანიკა რათა? მაგრამ იქ გამოჩნდება.

„მაშ, ფილოლოგი გავხდები. სულ ერთი არ არის, რაც უნდა გავხდე? სუყველა მეცნიერება ერთნაირად მოსაწყენია. აგერ ვარო ამბობს, რომ მე ბოტანიკა მიყვარს. აბა, ეს რა ბოტანიკაა? მიყვარს ტყეში სიარული, ყვავილების და ფოთლების შეკრება. ეს იმიტომ, რომ სასიამოვნოა, ზევიდამ მზე გათბუნებს და არავინ არ გადგია თავზე, არავინ არ გაძალებს ამის გაკეთებას. რაკი ესეც სამეცნიეროდ გადიქცევა, მაშინვე მოსაწყენი შეიქმნება.“

— ფილოლოგიის ფაკულტეტი რათ აირჩიეთ, ვასილი გრიგოლის ძევ?—ჰკითხა ვარომ.

— ავირჩიე ისე რაღა!—უპასუხა ბარანოვმა,—ხომ უნდა ერთი რამე ამერჩია.

— ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ძველი ენებია და თქვენ კი ეგ ენები გეჯავრებათ.

— ისტორიას ვისწავლი.

— განა ისტორია გიყვართ? მე ეგ არ ვიცოდი.

— არც მე ვიცოდი!—ღიმილით უპასუხა ბარანოვმა.

— მაშ, რათ აირჩიეთ?

— იცით, მე რა მიყვარს, ვარო? ყოველ დღე სადილი, შესაფერი ტანისამოსი და არა ნიდაყვებ გამოყოფილი.

— მაინც სწორეთ სამწუხაროა მთელი სიცოცხლე ემსახურო იმ საქმეს, რაც სიკვდილივით გეჯავრება. ხომ უნდა გიყვარდეთ რამე.

— ეჰ, მე არაფერი არ მიყვარს.

„აბა, რა გარჩევაა?—ეკითხებოდა ბარანოვი თავის თავს,—მე ახლა სტუდენტი ვარ და გარჩევას ვერასა ვხედავ, გიმნაზიაშიაც ვიზეპირებდი, აქაც ვიზეპირებ.“

— ნუ თუ წიგნები არ გიზიდავენ?!—გაოცებით დაეკითხა ვარო.

— უიმისოთაც თავი გამოტენილი მაქვს ყოველი სისაძაგლითა,—მიუგო იმან. სრულიად არ მიზიდავენ წიგნები, გიმნაზიაშივე ვიგრძენი მათდამი ზიზღი.

— ხედავთ, ვასილი გრიგოლის ძევ, თუმცა თქვენ უფროსი ხართ ჩემზე სამის წლით მაინც, მაგრამ ცხოვრებას არ იცნობთ. მე თქვენზე მეტად ვიცნობ ცხოვრებას. თქვენ არ დაჰკვირვებიხართ, არც გეცალათ. თქვენ ჰფიქრობთ, რომ დიპლომი არის თავი და ბოლო. აბა, მითხარით, აი თქვენ უკვე გაქვთ დიპლომი, რას გააკეთებთ?

— ვასწავლი.

— ბერძნულ ენას? განა?

— არა, ისტორიას.

— გიყვართ კი ისტორია?

— რას მეუბნებით! ისტორია თვალის დასანახათ მეჯავრება.

— და მთელ სიცოცხლეში, მთელ სიცოცხლეში სხვებს უნდა უტენოთ თავი იმით, რაც თქვენ გეჯავრებათ. ეს ხომ საშინელებაა!

— რა უყო? ეს არის ჩემი სპეციალური საგანი ამისათვის ვსწავლობდი მე.

— ეგ ხომ სასჯელია. ეგ ამასა ჰგავს რომ კაცი ორმოს თავზე იდგეს, რომლიდანაც ამოდის საწამლავი ორთქლი და იძულებული იყოს სუნთქავდეს ამ ორთქლით. თქვენ ხომ საქმე გექმნებათ ბავშვებთან... და განა თქვენ თუნდა ერთი ბეწო რამე იცით იმათი? გიყვარან იგინი?

—

*) ...ъ стр. 36, 41, 43, 46, 51‘ 53, 58 и 66.

უნდა შეუდგეს იმის მეცადინეობას, რომ ნამდვილი სამსახური გაუწიოს ხალხს მის ეკონომიურს მოღვაწეობაში.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

22 მარტი.

**პეტერბურგი.** 21 მარტს ცარსკოე სელოს სასახლეში მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით გამართულ იქმნა სადილი ინგლისის საგანგებო ელჩების პატივსაცემლად.

22 მარტს პეტერბურგის ოლქის სასამართლო შეუდგა შტაბს-კაპიტანი გეკერის საქმის განხილვას; ამ კაპიტანს ცნობილი პეტერბურგელი თვალის ექიმის დინბერგის მოკვლა ჰბრალდება. მოწმედ 41 კაცია დაბარებული.

**ტიუმენი.** თბილი ამინდი დგას; მდ. ტურაში წყალი მატულობს.

**კალუგა.** მდ. ოკაზე ყინული დაიძრა.

**სარატოვი.** მდ. ვოლგაზე ყინული დაიძრა.

**პარიზი.** დილით ვალდეკ-რუსსოს ოპერაცია გაუკეთეს; შუადღის დროს მინისტრ-პრეზიდენტი უფრო კარგ ჯანზე იყო; არ აციებს.

**შანხაი.** ჰოლანდიის მთავრობამ მოითხოვა 100 ათასი გირვანქა სტერლინგი იმის საზღაურად, რომ მან სამხედრო გემები გაგზავნა ინდოეთიდან ჩინეთში.

**შანხაი.** ლიუჩიინლის თხოვნით, გენერალი ტუნფუსიანი საიდუმლოდ მოვიდა სინანფუში და აუდიენციის დროს ვითომ ურჩევდა დედოფალს—პეკინში არ დაბრუნდეს, სანამ მოკავშირეთა ჯარები დგანან იქაო.

(იხილე საღამოს დეპეშები მე-4 გვერდზე)

# ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ 14 მარტს საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ განიხილა ასოციაციების შესახებ კანონის ერთი უმთავრეს მუხლთაგანი; ეს მუხლი შეეხება აღკრძალულ და მთავრობის მიერ დახურულ სასულიერო კონგრეგაციებისაგან მამულების ჩამორთმევას. კომისიამ მთავრობის თანხმობით გამოსცვალა უკანასკნელს წამს ამ (მე-18) მუხლის შინაარსი, რომელმაც შემდეგი რედაქცია მიიღო:

«დახურვის შემდეგ, ის ქონება, რომელიც ეკუთვნოდა კონგრეგაციის წევრებს მის დაარსებამდე, ანუ თუნდ დაარსების შემდეგაც ჰქონდათ შეძენილი მემკვიდრეობის მიღებით, დაუბრუნდება წევრებს. ის ქონება, რომელიც კონგრეგაციას უფასოდ აქვს შეძენილი და შეწირული არაა რაიმე დანიშნულ საქველ მოქმედო საქმისათვის, შეიძლება უკან მოთხოვნილ იქნეს შემწირველისა და მისი მემკვიდრეების მიერ, ანუ მოანდერძის მემკვიდრეობის მიერ ერთის წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც «ოფიციალურ ჟურნალში» გამოცხადებულ იქნება სასამართლოს განაჩენი კონგრეგაციის დათხოვნის შესახებ, ანუ გამოცხადდება ოქმი შესახებ იმისა, რომ კონგრეგაცია თავის სურვილით და ნებაყოფლობით დაიშალაო. ამ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა დახურული კონგრეგაციების ქონება მოხმარებულ იქნება: 1) იმ ბავშვებისა, მოხუცებულებისა, ავადმყოფი ანუ უძლურების შემწეობისათვის და შესანახათ; რომლებისათვისაც არ იქმნება გამართული საგანგებო დაწესებულება; 2) მიეცემა შემწეობა იმ წევრებსაც, რომლებსაც საკუთარი შეძლება არ ექნებათ. ადმინისტრაციის ცალკე განკარგულებით ნაჩვენები იქნება, თუ რანაირად უნდა მოექცნენ დახურული კონგრეგაციების ქონებას და რა პირობებით უნდა მიეცეს კონგრეგაციის წევრებს ერთბაში შემწეობა, ანუ ყოველწლიური პენსია. ამის შემდეგ რაც ქონება დარჩება, ის სახემწიფო დეპოზიტის კასსას გადაეცემა; თუ რას უნდა მოხმარდეს ეს ქონება, ამაზე შემდეგში ცალკე კანონი გამოიცემა. 1901 წლის იანვრის 14-დან ძალა აღარ ექნებათ ყველა იმ საბუთებს, რომლებიც შეეხებიან უძრავი ქონების საკუთრების ანუ მფლობელობის უფლებას იმ ასოციაციებისას, რომლების წევრებიც ერთად სცხოვრობენ, კერძოდ საბუთებს ყიდვა-გაყიდვისა, გაცვლისა, ჩუქებისა, სესხისა და დაგირავების შესახებ».

ამ მუხლის გამო მომხდარმა კამათებმა დაამტკიცეს, რომ შეცვლილმა რედაქციამ ვერ მოადბო კლერიკალების ოპოზიცია, ხოლო მუშათა დასის უკმაყოფილება გამოიწვია, რადგანაც პირვანდელის პროექტით განზრახული იყო, რომ ის თანხები, რომლებიც კონგრეგაციების ჩამორთმეული მამულებისაგან შესდგებოდა, მოხუცებულ და უძლურ მუშების საპენსიო კასსისათვის გადაეცათ. სოციალისტ ზევაესის წინადადება იმის შესახებ, რომ ყველა კონგრეგაციებს სულ ერთიანად მამულები ჩამოერთვას და ხსენებულს მიზანს მოხმარდესო, უარ-ყოფილ იქმნა 422 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 135-სა. მაგრამ მეორეს მხრით პალატამ 309 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 260-სა უარ-ჰყო აგრეთვე ლეგრისეს მიერ შემოტანილი წინადადება, რომელიც თხოულობდა, რომ მე-18 მუხლი კომისიას გადაეცეს განსახილველად, რადგანაც მისი ფინანსიური შედეგი მხოლოდ ის იქნება, რომ ბიუჯეტს მეტ ტვირთად დააწვება 96 მილიონი ფრანკიო.

✿ 15 მარტის სხდომის დროს ნაციონალისტმა დენიმ წინადადება შეიტანა პალატაში იმის შესახებ, რომ კონსტიტუციის შინაარსში შეტანილ იქმნეს დეკლარაცია (განცხადება) ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შესახებ; დენიმ მოითხოვა, რომ მისი წინადადება დაუყოვნებლივ გაერჩია პალატას. მაგრამ პალატამ უარ-ჰყო დენის მოთხოვნა დაუყოვნებლივ განხილვის შესახებ; ამის ნაცვლად პალატამ 542 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 1-სა, გადასწყვიტა რადიკალის დოზონის წინადადებით, რომ ეს დეკლარაცია ყველა სკოლებში იქონიონ.

✿ გააგიდან სწერენ «პარი ნუველს»: «აქ, კრიუგერის დაახლოვებული პირები, დიდის მოუთმენლობით ელიან ცნობებს ბოტასაგან, რომელიც, რასაკვირველია, უტყუარ და ჭეშმარიტ ამბებს მოიწერება მოლაპარაკების შესახებ.

არწმუნებიან, რომ ბოტას კიდევ კარგა ჯარი ჰყავსო და რომ დევეტიც მალე ისევ აალაპარაკებს ქვეყანასაო.

ერთის სიტყვით, ესენი ჯერ არ ჰკარგვენ მხნეობას და წინანდებურად სწამთ, რომ ბოლოს ბურები გაიმარჯვებენო».

✿ ინგლისის დეპუტატთა პალატას ბ. რობერტ რეიდმა წარუდგინა მერიმანისა და ზაუერის პეტიცია; ესენი თხოულობენ, რომ პალატამ გადაპარაკოს სამხრეთ-აფრიკის საქმეებზედო.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ზავზე მოლაპარაკება უკვე გათავდაო. მთავრობა მტკიცედ მისდევს იმ აზრებს, რომლებიც ამას წინად გამოთქვაო, მას არა აქვს განზრახვა ახალი მოლაპარაკება დაიწყოსო.

ამის შემდეგ დეპუტატმა პირმა რამდენიმე კითხვა მისცა ჩემბერლენს სამხრეთ აფრიკის შესახ. დეპუტატმა ჰკითხა ჩემბერლენს: მინისტრი ხომ არ წარმოადგენს პალატაში გენერალი ბოტას იმ წერილის კოპიოს, რომელიც ქ. ბ-მა ბოტამ 10 მარტს გადასცა ლორდ კიტჩნერს? ჩემბლერმა უპასუხა: მე დეპეშა გავგზავნე სამხრეთ-აფრიკაში, რომ ამ წერილის შინაარსი გამომიგზავნონ; მთავრობა განიხილავს ამ წერილს და თუ საჭიროდ სცნობს, პალატასაც წარმოუდგენს.

შემდეგ რედმონდი ჰკითხულობს: ხომ არ დასთანხმდება ახალშენების მინისტრი, რომ ზავის პირობებიდან ამოშალოს ის სიტყვები, რომლების გამოც მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარაო, მაგალითად სიტყვები შესახებ იმისა, რომ ბურებს დამწვარი ფერმების აღსადგენად ფული მხოლოდ «სესხად» მიეცემათო. როგორც კიტჩენერი და მილნერი არწმუნებიან, სწორედ ამ სიტყვა «სესხის» გამო შესწყვიტა ბოტამ მოლაპარაკებაო.

ჩემბერლენმა ხელმეორედ უპასუხა, რომ მოლაპარაკება საბოლოოთაა შეწყვეტილი და მთავრობა მტკიცედ შეასრულებს იმ გეგმას, რომელიც მას შემუშავებული აქვსო (მოწონება).

✿ გერმ. გაზ. «ბერლ. ტაგებლატის» ლონდონელი კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ შანჰაიდან მოსული ცნობები ეთანხმებიან [...] სის» ცნობას შესახებ იმისა, რომ მთავრობამ უარი თქვა და ხელი აღარ მანჯურიის შესახებ ხელშეკრულებისათ:

«შანჰაიში მიღებულია ნანკინის გუ[...]
რილის დეპეშა, რომლიდანაც ჩანს, რ[...]
ნეთმა მართლა უარი შეუთვალა რუსეთს[...]
კოუში ჩინეთის მოხელეები ძალიან გ[...]
დები არიან ამ ამბის გამო. აქ ფუ[...]
აგრიავებენ, რომ ჩინეთმა ყოველი უპირ[...]
და უფლება შეინარჩუნოს მანჯურიაში».

✿ შეერთებული შტატების მთავრ[...]
მარტს გამოსცა შემდეგი ოფიციალური [...]
დება მანჯურიის კონვენციის შესახებ:

«მთავრობამ,—ნათქვამია ამ განცხად[...]
ჯერ კიდევ 1ს თებერვალს შეატყობინა [...]
ხელმწიფოებს და მათ შორის რუსეთსაც [...]
ადრევე თავის მემორანდუმში, რომელ[...]
ნეთის ელჩს 6 თებერვალს ჩააბარა, [...]
რომ «მეტად საშიში იქნება ჩინეთის [...]
სებისათვის, თუ რომელიმე სახელმწიფო[...]
შეთანხმებას ჩამოაგდებს ჩინეთის მთავ[...]
სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოების [...]
ხავადაო». შემდეგ მთავრობის განცხად[...]
რძნობს: «და თუნდაც რომ ამისთანა [...]
ბა იყოს კიდეც ჩამოვარდნილი, მაინც [...]
ბული შტატებიც წინანდებულად მტკიც[...]
დევენ «ღია კარების» პოლიტიკას მთელ ჩ[...]
თითონ მანჯურიაშიაც. რუსეთი მოვალე [...]
რები ღია დაუტოვოს შეერთებულ შტ[...]
შემთხვევაშიაც კი, თუნდა რუსეთმა მანჯ[...]
პურის კიდეც. მთავრობა ჰფიქრობს, [...]
სეთ-ჩინეთის იდუმალი შეთანხმება არ[...]
საერთო შეთანხმებას, რომელსაც წარს[...]
ხულს ყველა სახელმწიფოებმა ხელი [...]
და მზად არის, რომ წინააღუდგეს ამ[...]
კრულობის ასრულებას. პრეზიდენტი [...]
ტრები ჰფიქრობენ, რომ რუსეთს უფ[...]
რამდენიმე განსაკუთრებული გარანტია[...]
ჩინეთისაგან მანჯურიის რკინის გზის [...]
ლად, მაგრამ იმდენი გარანტიის უფლებ[...]
ლებით არა აქვს, რამდენიც მან, რო[...]
მის, იდუმალის ხელ-შეკრულობის ძა[...]
დოთ».

✿ გაზ. «სტანდარტ»-ს ცნობა მიუ[...]
ჰკიდან, რომ ჩინეთის მთავრობა 50,0[...]
რის-კაცს აგროვებს იანძეს სიმაგრეებ[...]
ველადაო.

✿ იმის დასასურათებლად, თუ [...]
უყურებენ ჩეხები პანგერმანისტების მი[...]
მოგვყავს შემდეგი აზრები, გამოთქმუ[...]
რადიკალურ და თანაც მეტად გავ[...]
ჩეხურ გაზეთში «ავსტრიის ბედს[...]
«რადიკალნი ლისტი» — ბოლოს და ბო[...]
რე ინტერესი აქვს ჩვენთვის, რადგან[...]
მილიონ ხალხს, სავსეს სრულის ე[...]
თვით ცნობიერებით, ვერას დააკლე[...]
ხარბი და გაუმაძღარი პანგერმანიზმ[...]

---

— არა. არცა რა ვიცი იმათი და არც მიყვარან...

— განა აგრეა?

— სწორეთ! რას იზამ, უნდა გააკეთო ის, რასაც გიბრძანებენ.

— ეგ არის და, თქვენ მაგისთანა შეხედულება გაქვთ, მე სხვანაირი. მე სიყვარულს დავთმობ, ოღონდ საქმე იყოს საყვარელი და სასარგებლო.

— ეჰ, ღმერთო ჩემო? სად მოვძებნო იმისთანა საქმე? ან რომელი საქმე იქმნება ჩემთვის საყვარელი, მე არ ვიცი“.

როცა თავიდან სარკეში ჩავიხედე, თვალ წინ წარმომიდგა თითო თითოდ ხონჩაზე დამწკრივებული გუნდები, რომლებსაც თონისაკენ მიაქანებდნენ და მერე პირის და ძირის პურებად გადაქცეულები აქა-იქ სუფრაზე დალაგებულიყვნენ. ჯერ გავიცნოთ, რომლებიც სუფრის თავში აწყვია. თვით სარკე გაგვაცნობს: *)

„ბარანოვი შევიდა დირექტორთან, გაჩერდა და თავი დახარა. დირექტორი ფანჯარაში იყურებოდა, ასე ჰგონია, არც კი უნდაო, რომ აიხედოს და დაინახოსო.

— რას მიბრძანებთ?—ბოხის ხმით დაეკითხა. ძნელი გასაგები იყო, მართლა უცხო კაცად მიიღო, თუ ცუღლუტობდა.

— მე... მე გამოსაცხადებლად გიახელით. ბარანოვი გახლავართ, დანიშნული ამ გიმნაზიაში ისტორიის მასწავლებლად.

— მაშ, უკაცრავად...

არც კი წამოუწევია, გამოუშვირა ხელი და უჩვენა სკამზე. ბარანოვი დაჯდა.

— თქვენ, მგონია, ეს არის ეხლა გაათავეთ კურსი?—ჰკითხა დირექტორმა.

— დიახ, წელს,—უპასუხა ბარანოვმა.

დირექტორმა წყენით გაიქნია თავი.

— არ მიყვარს მე ეგა. რამდენჯერ გავაცხადე, მაგრამ რას იზამ!

„რა არ უყვარს?“—ეკითხებოდა თავის თავს ბარანოვი.

დირექტორმა თვითვე ახსნა:

— ეს არის სკოლის სკამეიკიდან წამომდგარა, თვის ჯერ ისევ შეგიდის ელფერი ადევს და აბა რა უნდა ასწავლოს ამან. უნდა იცნობდე ბავშვის სულსა, ამისათვის კი მრავალი წელიწადი უნდა იყო იმათთან. მაგალითად, თქვენ იცნობთ ბავშვის სულსა?

ბარანოვი აირია.

— ა-არა... არ შემიძლიან ვსთქვა, რომ ვიცნობ მეთქი. ჯერ ვერ მოვასწარი გაცნობა.

— ეგ არის და! ამასთან უნდა ჰქონდეს პრინციპები. თქვენა გაქვთ პრინციპები?

— რასაკვირველია,—მიუგო ბორანოვმა.

— მე არა მაქვს უფლება გამოგკითხოთ, უნდა კი გითხრათ, რომ ჩვენ სასტიკ პრინციპებზედ ვამყარებთ საქმეს: თვითოეულმა უნდა გააკეთოს თავისი საქმე და სხვა არაფერი. თქვენ, მაგალითად, დანიშნული ხართ ისტორიის მასწავლებლად და ასწავლეთ ისტორია. მეორე დანიშნულია ბერძნულის ენის მასწავლებლად, ასწავლოს ბერძნული. გესმით? პროგრამაში ნათქვამია: ამა და ამ კლასში უნდა ასწავლონ სიტყვის წარმოება, საუბრის ნაწილები, სინტაქსისი, კანკლედობა, უღვლილება,—და თქვენც ინებეთ სწავლება სიტყვის წარმოებისა, საუბრის ნაწილებისა, სინტაქსისა, კანკლედობისა და უღვლილებისა—და სხვა არაფერი. გესმით? არაფერი.

ბარანოვის თავში გაირბინეს სხვა და სხვა აზრებმა განსაკუთრებით იმაზედ, თუ როგორ შეათვისოს სასტიკი პრინციპები იმ მოთხოვნილებასთან, რომელიც ავალებს ბავშვის სულის ცოდნასა, მაგრამ მოაგონდა დარიგება, თქვას მარტო ის, რასაც ყველანი ამბობენ, და სთქვა:

— ეჭვს გარეშეა, რომ უნდა გავაკეთო მარტო ის, რაც პროგრამაშია მი[...]
ლი.

ამ დროს შემოვიდა ინსპექტორ[...]
ნოვი წამოდგა, დირექტორმა გაა[...]

— აი შემთხვევა, ბარემ ინსპ[...]
წარვადგენ! აი, ედუარდ მაქსიმე[...]
გახლავთ ბარანოვი, რომელიც [...]
ასწავლის.

— ოჰ, ეს ბერძნულის ენის მასწ[...]
არ არის დანიშნული?—სთქვა ინს[...]
და ხელი ჩამოართო. ისიც ახალგაზრ[...]
დაიგვიანა კი,—ეს ვერ არის კარგ[...]
მე ხომ ბერძნულს ვასწავლი უფრ[...]
სებში, მეორე კი უმცროსებში. [...]
მოამზადებს. მაინც ყველაფერი [...]
პროგრამით. ჩვენში სუყველაფე[...]
გრამითაა. იმედი მაქვს დავმეგობრ[...]

ბარანოვი მიიწვიეს განმეორებ[...]
დაზედ დასასწრებლად.

სრულებით არ გაუგია, რას [...]
მოსწავლენი, იმის თავში რაღაც[...]
იდგა.

ახალმა, ჯერ უცნობმა განწ[...]
მოიცვა იგი. ის იყურებოდა ინს[...]
წინ გადაშლილ დავთარში და მა[...]
სხავდა იმავე ნიშნებს, რასაც ინ[...]
უნდა მართალი თქვას კაცმა, ი[...]

*) Августъ стр. 30, 31, 36 и 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე მეორე გაზ. «სელსკი ნოვინე» უპასუ-«ავსტრიის ბედი ჩვენი საკუთარი ბედია; სტრია გერმანიას შეუერთდება, მაშინ ჩვენ ულთა ზღვაში დავიღუპებით. სიტყვები: შვიდი მილიონი ხალხი არასოდეს არ ება»,—უსაფუძვლო სიტყვებია... აბა ნე-ცით, რომ ავსტრია გერმანიას შეუერთ-მაშინ თქვენ ჰნახავთ, თუ რამდენ ხანს ებს ჩეხიის ერი! ეს ცრუ და უაზრო ებია! ჩვენ, უნდა ვიცავდეთ ავსტრიის ობას და მის ბედს, თუ გვინდა, რომ ჩვე-კუთარი ბედი დავიცვათ»

# ახალი ამბავი

„პრავიტ. ვესტ.“-ში გამოცხადებუ-ამ პირების გვარი და სახელი, რომე-თავიანთი მამული დაუგირავებიათ მწიფო სათავად-აზნაურო ბანკში და ე სარგებელი არ შეუტანიათ. ტფილი-უბერნიაში ამისთანა მემამულე ყოფი-ასაკვირველია, სულ თავად-აზნაურობა) რომელთაც დაგირავებული ჰქონიათ-თასზე მეტი დესიატინა მიწა და ვალი ათ ორ მილიონამდე (1,900,000-ზედ ). ქუთაისის გუბერნიაში ამ გვარ მემა-ეთა რიცხვი ყოფილა-45, რომელთაც რავებული ჰქონიათ-4141 დესიატ. მიწა ალი ჰქონიათ ნახევარ მილიონზე მეტი.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სა-დოების წევრთა გუშინდელ კრებაზე კიცებულ იქმნენ საიუბილეო გამოფე-კომიტეტის წევრებად: თ. ი. ზ. ანდრო-შვილი (კომისრად), ა. ს. ფირალოვი დ ფიანჯიანცი (თანაშემწეებად), პ. ი. ანი, ბ. ბ. გეევსკი, რადდე, ხოდოროვი-ალანთარი და გლასსეკი.

ოთხშაბათს, 21 მარტს, გრაფინია უვა-ს თავმჯდომარეობით შესდგა კრება ოლოგიის მოყვარე პირთა. კრებას წრო 40-მდე პირი, მათ შორის კავკა-მთავარმართებლის თანაშემწე გენ.- . ფრეზე. კრების საგანი იყო ტფი-ში არხეოლოგიურ საზოგადოების დაარ-კამათი გამოიწვია კითხვამ, როგორი გადოება დაარსდეს—დამოუკიდებელი, მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოე-განყოფილება. ზოგმა დამოუკიდებელ გადოების დაარსების სურვილი გამო-, ამათ რიცხვში იყო თვით გრაფინია ოვისაც, უმრავლესობამ მოსკოვის სა-დოების განყოფილების დაარსება მოი-ა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩნდა, მოსკოვის საზოგადოებას არავი-ნივთიერი შემწეობის აღმოჩენა არ ლება თავის განყოფილებისათვის და ეს რთად ერთი პატივსადები არგუმენტი განყოფილების დაარსების მომხრეებისა. ავლესობამ თავის სურვილი გაიტანა და გინა დაარსდეს მოსკოვის არქეოლო-საზოგადოების განყოფილება. შემდეგ კრებამ ამოირჩია კომისია 5 კაცისაგან (ლ. ლაპატინსკი, ე. თაყაიშვილი, ერიცოვი, ვეიდენბაუმი და ექ. ნავასარდიანი) და დაავალა მას გასინჯოს მოსკოვის საზოგადოების განყოფილებისათვის არსებული წესდება და აღნიშნოს, თუ რა საჭირო ცვლილებანი უნდა მოხდეს ხსენებულ წესდებაში. შემდეგი კრება მოხდება კვირას, 8 აპრილს, ვაჟთა პირველ გიმნაზიის ახალ შენობაში.

✦ გურიის ამხანაგობამ „შუამავალმა“ შუამდგომლობა აღძრა ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკის გამგეობის წინაშე მიეცეს სესხად 100,000 მანეთი მეაბრეშუმეობისა და ბაღოსნობის ნაწარმოებთა გირაოს ქვეშ.

✦ სოხუმში ახლად დაარსებულმა საურთიერთო კრედიტის ბანკმა მიჰმართა თხოვნით ტფილისის სამეურნეო საურთიერთო კრედიტის ბანკს შემწეობა გაუწიოს კრედიტის გახსნით.

✦ როგორც გვატყობინებენ, ტფილისის საბაღოსნო სკოლაში სწავლა გაგრძელებულ იქმნება უფროს კლასებში, ხოლო მოსამზადებელ და პირველ კლასის მოსწავლენი დათხოვნილ იქმნებიან მომავალ სექტემბრამდე.

✦ ტფილისის საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომიტეტმა წინადადება მისცა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს—გაზეთების საშუალებით გამოიწვიოს მსურველები ხსენებულის სკოლის მმართველის თანამდებობაზე, ხოლო სანამ მცოდნე და გამოცდილი პირი მოიძებნებოდეს, ეს ადგილი თავისუფალი იქმნეს.

✦ ხუთშაბათს, 22 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში ბ-ნმა ფალიაშვილმა გამართა კონცერტი ორს განყოფილებად და ამასთანავე ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. აბაშიძისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილ იქმნა ანტონოვის კომედია „მე მინდა კნეინა გავხდე.“ საზოგადოდ, კონცერტმა ზოგიერთს სიმღერების გარდა, რომელნიც ისე მოეწონა ხალხს, რომ რამდენჯერმე გაამეორებინეს, სუსტად ჩაიარა. ქ. გაბუნია-ცაგარლისამ და ბ. აბაშიძემ თავიანთ ხელოვნურის თამაშით ჩვეულებრივ ხალხი აღტაცებაში მოიყვანეს. კონცერტის დასასრულს გამართულ იქმნა ლეკური. ხალხი ძალიან ნაკლებად დაესწრო.

✦ ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის წევრმა ს. დ. ლისიციანმა წარუდგინა კომისიას ხუთშაბათს, 22 მარტის სხდომაზე ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნეს ტფილისის ქალაქის საკუთარ სასწავლებელთათვის საპედაგოგიო მუზეუმი. მოხსენებაში აღნიშნულია დაწვრილებით მიზანი და აგრეთვე ნაჩვენებია წყარო, თუ რა სახსრით უნდა იქმნეს შენახული აღნიშნული მუზეუმი. კომისიამ დაადგინა განსაკუთრებით განიხილოს ეს მოხსენება შემდეგ თვით ლისიციანთან ერთად. მუზეუმის შენახვა, ლისიციანის გამოანგარიშებით, დაჯდება-2050 მან., რომელიც ასე განაწილდება: ბინის დაქირავება 250 მ., მუზეუმის გამგეს-200 მ., გათბობა და განათება-50 მ., ავეჯი და მსახურის ქისა-150 მ., წვრილმანი ხარჯი—150 მ., დანარჩენი 1250 მან. კოლექციების, ჯადოფანრების, წიგნების და სხვა სამოსწავლო საგნების შეძენისათვის. მუზეუმის ზედამხედველობის საქმე უნდა დაევალოს ყველა საქალაქო სკოლების მასწავლებელთ, ხოლო მართვა-გამგეობა სასწავლებელთა გამგე კომისიას და საგანგებოთ არჩეულ კომიტეტს.

✦ ხუთშაბათს, 22 მარტს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიას, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა ის საკითხი, თუ რა და რა საგნები უნდა იქმნეს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზე გაგზავნილი ტფილისის ქალთა სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ნაწარმოებთაგან. კომისია იმ აზრს დაადგა, რომ საექსპონატოდ დამზადდეს ტანისამოსი 300 მან., საცვლები 163 მან. და სხვა-და-სხვა ხელსაქმეები სულ 500 მან. 20 კაპ.; კომისიამ დაადგინა გადაიდვას აღნიშნულ მიზნისათვის მოხსენებული ფული. ეს დადგენილება კომისისაგან წარდგენილ იქნება ქალაქის გამგეობაში დასამტკიცებლად.

✦ დღეს, 24 მარტს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია განსაკუთრებული სხდომა ქალაქის გამგეობისა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის ზოგიერთ დადგენილებათა განსახილველად.

✦ დღეს, 24 მარტს, ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში, მოწვეულია საბჭოს კომისია, რომელთან ერთად ქალაქის გამგეობამ უნდა მოახდინოს ქალაქის მესამე საობლიგაციო სესხის ტირაჟი.

✦ ხუთშაბათს, 22 მარტს, საქალაქო სასანიტარო საბჭომ განიხილა სავალდებულო დადგენილებანი მეწველ ძროხების შენახვის შესახებ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თავს დააჩქაროს ნავთლუღის ნავთის ქვების შემოღობა, რადგანაც წელს ზაფხულში ამ ადგილებზე უნდა დაბანაკდნენ ჯარები.

✦ 22 მარტისათვის დანიშნული სხდომა საგანგებო კომისიისა, რომელსაც უნდა შეემუშავებინა ზომები თამბაქოს პლანტაციების მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არ შესდგა.

✦ სატყეო დეპარტამენტმა ცირკულარით შეატყობინა კავკასიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობათ მიაქციონ ყურადღება სახაზინო ტყეების გაწმენდას დამპალ და ძირ-ნაყარ ხეებისაგან, რადგანაც ესენი ხელს უწყობენ ხის ქერქის მჭამელ ჭიების გამრავლებას და აგრეთვე ტყეში ცეცხლის გაჩენას. დეპარტამენტი ურჩევს ხსენებულ მმართველობათ უფასოდ დაუთმონ ამ გვარი ხეები ადგილობრივ მცხოვრებთ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდვია საჭირო ფული კავკასიის საგეითალო სამმართველოსათვის ახალ თანამდებობის პირების, სახელდობრ, საზღვრის გეითალების ჯამაგირისათვის.

✦ როგორც გვატყობინებენ, განჯის გუბერნიაში კალია გამოჩეკილა.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოსათვის მთავრობას გადაუდვია 7400 მანეთი მოხელეთა დასაჯილდოვებლად.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტროს იურის-კონსულტის თანაშემწეს ლისენკოს, რომელიც ეხლა ხან პეტერბურგიდან იყო ჩვენში გამოგზავნილი, დავალებული აქვს გამოარკვიოს სადავო საქმეები შესახებ ბათუმის მიწებისა ხაზინისა და კერძო მფლობელთა შუა.

✦ სამშაბათს, 20 მარტს, ღამე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველი შეპარულა ფანჯრიდან ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის კანცელარიაში, მოუპარავს 75 მ. და 20 კ., შემდეგ მოუსხამს იატაკზე ნავთი და ცეცხლი წაუკიდებია. საბედნიეროთ, ცეცხლი არ მოჰკიდებია შენობას. გამოძიება სწარმოებს („ჩერნ. ვესტ“.)

✦ ხუთშაბათ ღამეს (22 მარტს) ვერის ერთ ბაღში ჩხუბი მოუვიდათ შეზარხოშებულ მოქეიფეთ და ვინმე ალექსეევმა ხმლით მძიმედ დასჭრა თავში ინჟენერ პირო-ტეხნიკი ივანოვი. დაჭრილის მდგომარეობა, ექიმების სიტყვით, უნუგეშოა.

✦ სოფ. ზარგარიანიდან „ნორ-დარ“-ს ატყობინებენ, რომ გასულ კვირას იქ დარევიათ ერთი ცოფიანი მგელი და რამდენიმე ძაღლი დაუცოფია; დაწიოკებულ სოფლელებს რის ვაი-ვაგლახით გაუძევებიათ, იქიდან იქვე მახლობელ თათრის სოფელს სწვევია, იქაც იმნაირადვე დახვედრიან, მაგრამ, საუბედუროდ, ერთი კაცი უმსხვერპლია და ორიც დაუცოფნია. დაცოფილნი ტფილისის ცოფიანთათვის არსებულ საავადმყოფოში გამოუგზავნიათ.

✦ გუშინწინ პოლიციის მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზე, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ შერჩეულის გასაღებით გაუღიათ ტიტ. სოვეტნიკის ქვრივის სოფიო დავითის ასულის ახშარუმოვის სახლი მის შინ არ ყოფნის დროს და გაუტანიათ ძვირ-

---

დ ნაკლები არავისთვის დაუსვამს. ამას-უჩუმრად ჩაულაპარაკა ყურში:

ჩემზე ამბობენ, რომ სასტიკი ვარ, მაგ-ის კი არ იციან, რომ სასტიკი ვარ ო ზაფხულის წინ და სასტიკი ვარ კი-იმისთვის, რომ მოსწავლეთ მთელ ზაფ-ახლოვდეთ ბერძნული გრამატიკა. აგერ დგომობით სასტიკი არა ვარ.

საუბრის დროს დიდის კმაყოფილებით ებოდა, თავი მოსწონდა, დარწმუნებუ-იყო, რომ მეტად მახვილი საშუალება ეგონა, რომლითაც მთელს ზაფხულს ვრებას უწამლავდა მოსწავლეებს ბერძ-ით და თან თხოულობდა გამოგონების ნებას, თანაგრძნობას.

ლა ცოტათი გაუსწორდით სარკეს და ყობთ, ამ მარილთა ქვეყანისათა როგორი კიდებულება აქვთ ურთიერთ შო-*):

როცა შევიდა, ოთახი სავსე იყო პაპიროსის ით. ამ ბუღუსში იმან შენიშნა ხუთი ვიც-ირი. ერთი განიერი დაბალ-დაბალი მო-ვლებული თავით იჯდა სტოლთან დ კით-ობდა გაზეთს. კარის გაღებაზე სტოლ-მჯდომმა აიხედა, შეჰხედა ყურად-ღებით და ისევ დაიწყო გაზეთის კითხვა. ორნი—ერთი მაღალ-მაღალი, შავგვრემანი, პირ-მოპარსული, გამხდარი, მაგრამ ლამაზი, და მეორე, ხნიერი, ისიც მაღალ-მაღალი, ჭაღარა თმიანი, მაგრამ მხარ-ბეჭიანი, მოუპარსავი პირითა,—იდგნენ ფანჯარასთან და ლაპარაკობდნენ. ერთი პატარა ტანისა, უწვერ-ულვაშო, თავ-ტიტველა, აჩქარებული წინ და უკან დარბოდა ოთახში, იმისი ფრაკის კალთები ტოკავდნენ და ისეთი ხმა ჰქონდათ, როგორც იალქანს ქარის დროს. უკანასკნელად იქით კუნჭულში შენიშნა ნაცნობი და როცა მიუახლოვდა, ის გამოდგა აკულსკი, მასთან ერთად კურს-შესრულებული.

ჯეროვანის მისალმების შემდეგ, როგორც შეეფერებოდათ თუმცა ერთის კურსის ამხანაგებს, მაგრამ უხეირო მეგობრებს, აკულსკიმ ჰკითხა:

— თქვენ იცნობთ აქ ვისმეს?

— არა, არავის არ ვიცნობ.

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, არავინ არ გამაცნო. ვზივარ, როგორც უცხო; აგერ ნახევარი საათია აქა ვზივარ და არ ვიცი, რა ვქნა.

— მე ინსპექტორსა და დირექტორს ვიცნობ, სხვას არავისა,—სთქვა ბარანოვმა.

ისინი, ვინც აქ იყვნენ, არავითარს ყურადღებას არ აქცევდნენ იმათ; თუ ვინმე მათგანი შეჰხედავდა, ისიც ცივად.

უცებ პატარა კაცმა, რომლის კალთებიც ისე აბარტყუნებდნენ, ოთახში სიარული შესწყვიტა, შეჰხედა ახლად მოსულებს, თითქო მათ შესახებ რაღაც მოაგონდაო და პირდაპირ მათკენ გასწია.

— ნება მომეცით, გაგეცნოთ,—სთქვა რაღაცა კანკალით და გაუწოდა ხელი ჯერ ბარანოვს და მერე აკულსკის,—სვიაჟსკი, მასწავლებელი გეოგრაფიისა. ჩვენ ხომ ამხანაგები ვართ, ასე უნდა, არა?

ბარანოვმა და აკულსკიმ სთქვეს თავიანთი გვარები და თანაც დაასახელეს საგნები, რაც უნდა ასწავლონ.

სვიაჟსკიმ სთქვა:

— ვხედავ, რომ თქვენ ყურადღებას არავინ გაქცევთ. უცნაურია ეს განა? ახლად მოსულებს უნდა ტკბილად დაუხვდეთ, მაგრამ ჩვენ ყველაფერში გულცივები ვართ, ჩვენთვის ყველაფერი ერთია.

ბარანოვი და აკულსკი განცვიფრებულები შეჰყურებდნენ თვის ახალ ნაცნობს. ეგონათ, ყველანი იწყენენ ამის ლაპარაკსაო. მაგრამ სვიაჟსკიმ ამით არ გაათავა, ის მიუბრუნდა იქ მსხდომ მასწავლებლებს და უთხრა;

— ბატონებო, ნება მომეცით გაგაცნოთ: ეს არის ბარანოვი, ისტორიის მასწავლებელი და, ეს კიდევ აკულსკი, ბერძნული ენით დაუბნელებს გონებას ბავშვებს... მოაქციეთ თქვენი მოწყალე ყურადღება. ესენი ხომ ახლად მოსულები არიან...

მიუხედავად იმისა, რომ ის ამბობდა ყველა ამას გაჯავრებითა და თვალებითაც ამასვე ჰხატავდა, ორთ, რომელნიც ფანჯარასთან იდგნენ და კიდევ რომელიც სტოლთან გაზეთს კითხულობდა, მიაქციეს ყურადღება ახლად მოსულებს, გაიცნეს და დაუწყეს ლაპარაკი.

— ბიჭოს, კარგი და მშვენიერი!—სთქვა სვიაჟსკიმ.—მაშ, ვერ მიმხვდარან.

მერე საჩქაროდ ამოიჩარა იღლიაში პორტფელი და გავარდა ოთახიდან. ორთ, ფანჯარასთან რომ იდგნენ, ხმა მაღლა გაიცინეს.

— ის სულელია!—სთქვა ერთმა იმათგანმა. დიდი სულელია სვიაჟსკი, თქვენ, ბატონებო, მაგას ყურადღება ნუ მიაქცევთ, ის თითქმის შეშლილია.

— დიახ, ის რაღაც გაუგებრობით არის თავისუფალი და ისიც ბავშვების მასწავლებლად!

ნადიკვრელი

(შემდეგი იქნება)

*) Августъ, стр. 38, 39, 40.

ფასი ნივთები და ტანისამოსი, სულ 469 მანეთისა. ქურდობაში ეჭვი არავისზე არ აქვთ. პოლიცია უკვე შეუდგა გამოძიებას ქურდების აღმოსაჩენად.

# პრესსა

ოფიციალურ გაზეთ „კავკაზ“-ში იბეჭდება გენერალ როდერივფონ ერკერტის „der Caucasus und seine Vo'lker“-იდან ამოღებული ადგილები. ბევრში ვერ დავეთანხმებით ავტორს, მაგრამ მაინც მოგვყავს ზოგიერთი ჩვენის მკითხველისათვის საინტერესო ადგილები.

„ჩვენ დროში კავკასიას, როგორც ადმინისტრატიულ ტერრიტორიას, სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი არ წარმოადგენს ეხლა ორფა საზღვარს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შუა, როგორც ეს წინედ იყო; იგი შეიქმნა მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სტრატეგიული ქვეყანა, რომელიც სოლივით შედის ოსმალეთის და სპარსეთის სამფლობელოებში და რომლის წინ წაწევა მოასწავებს მათ დაღუპვას. ხალხთა ტალღები, რამდენჯერმე შეჩერებულნი წინედ კავკასიონის ქედით, ეხლა ქედის აქეთ არიან.......

რუსეთმა ჯერ მე-XIX-ე საუკუნის დასაწყისში გადმოდგა პირველი ნაბიჯი ამიერ კავკასიაში, რომელიც შემდეგ შეიქმნა დიდ საქმეთა ასპარეზი, საშიში მაყურებელთ(?) და მეზობელთათვის. ეროვნობის, კულტურის და ჰავის მხრივ კავკასიონის ქედი იგივეა, რაც წინედ იყო; სამაგიეროდ, პოლიტიკაში და ისტორიაში მან დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა (უმთავრესად იმიტომ, რომ ხსენებული „ტალღები“ ქედს აქეთ იმყოფებიან); იგი აღარ წარმოადგენს გარდაუვალ საზღვარს.....“

მაგრამ შემდეგი ადგილი ველიჩკოს ნაწერიდან ამოღებული ეგონება მკითხველს.

„რუსს, წინააღმდეგ ინგლისელისა, ბევრი ისეთი თვისება აქვს, რომელიც მას აახლოვებს აღმოსავლეთთან... რუსი ადვილად უახლოვდება აზიელს... მიუხედავად სარწმუნოებისა და პოლიტიკურ ინტერესებისა... არ უნდა ავრიოთ ერთმანერთში პოლიტიკური გაბატონება და ეროვნული დამოუკიდებლობა(?) და ეროვნული ხასიათი. კეთილშობილი, პატრიარქალური, უზრუნველი, დაუდევარი და სტუმართ-მოყვარე ქართველი სიმპატიურია რუსისთვის: იგი ჰგავს მას. ნაკლებ სიმპატიურია მისთვის ანგარიშიანი, ნიჭიერი, ხერხიანი, ანგარების მოყვარე სომეხი. დაპყრობილ მთიულებთანაც კეთილი განწყობილება აქვს რუსს......

მოგვყავს ერთი ადგილი კიდევ:

„ყოველ სურათს შესაფერი ჩარჩო უნდა; კავკასიაშიც ყველა ადგილობრივი მკვიდრნი სრულ ჰარმონიას წარმოადგენენ ბუნებასთან ერთად.... თუ ჩვენ კავკასიელს თავის ტანისამოსით და ყოფა-ცხოვრებით ერთბაშად ევროპაში გადავიყვანთ, იგი კარიკატურა იქნება. თათრული ან ჩერქეზული ტანისამოსი, ურემი, ცხენი, უნაგირი, პირბადიანი ქალები, კამეჩები, აქლემები და სხვ. ყველა ეს ჰარმონიულად შეხამებულია კავკასიის ბუნებასთან. სამაგიეროდ, სრულებით ვერ შეეხამება ამ ბუნებას რუსის „მუჟიკი“ და „ტროიკა“, მისი ტანისამოსი და ყოფა-ცხოვრება...

საზოგადოდ, კავკასიელი გაუნათლებელია და ლამაზი, ნიჭიერი და უვიცი, პატიოსანი და ზარმაცი, სტუმართმოყვარე და ღარიბი, კეთილ-შობილი და ცუდად ჩაცმული...

ეს უკანასკნელი დახასიათება კავკასიელისა მეტად დამახასიათებელია, საზოგადოდ, ევროპიელ მწერლისა, რომელიც ვერ შესულა ასაწერ ხალხის ქერქში, ვერ გაუგია მისი სულის კვეთება და რასაც სწერს, სწერს გარეგანი შთაბეჭდილების ქვეშ, ან შეგონებით, რომელსაც ხშირად ვერც ამჩნევს.

# პროვინცია

**მოზდოკი.** 19 მარტს ერთი საზიზღარი მკვლელობა მოხდა. აქ ცხოვრებდა ერთი ნასალდათარი კავალევი. მიუხედავათ ხნოვანობისა უწმაწურ ცხოვრების გზას ადგა, ინახამდა სახლში ცუდ-ყოფაქცევის ქალებს და თან ქურდი კაციც იყო. ამ ბოლოს დროს მას ორი ქალი ჰყავდა სახლში; ერთს საყვარელი ჰყავდა. 19 მარტს ეს უკანასკნელი მისულიყო თავის საყვარელთან. ბებერი სალდათი არავისთვის გაუგზავნა, სამი მანეთი მიეცა, ათიშაურის არაყი იყიდე და დანარჩენი ხურდა უკან მომიტანეო.

კავალიევს არაყი მიეტანა და ხურდა კი ჯიბეში შეენახა. რომ კარგა შეზარხოშებულიყვნენ, სტუმარს ხურდა მოეთხოვა. კოვალევს ეთქვა, მოგეციო, ამაზედ მოსვლოდათ ჩხუბი. ყველა სტუმარს დახვევიყვნენ, ჩაეძგათ ძირს: ქალს საათი ამოეცალა, ბებერი ჯიბეებს თურმე უსინჯავდა. მოთმინებიდგან გამოსულს სტუმარს ამოეღო ჯიბიდან დანა, ეტაცა ხელი ძუძუში თავის საყვარლისათვის და ძუძუ მოეჭრა. მეორე ქალი შეშინებული გაქცეულიყო. წაქცეული სტუმარი წამომდგარიყო და წაექცია კავალევი და სულ ნაწლავები გადმოებრუნებია მუცლიდან, ისე დაეჭრა დანით. ბოლოს მოსულიყო პოლიცია. კავალევი იქვე მომკვდარიყო. დაჭრილი ქალი საავადმყოფოში წაიყვანეს. მეორე ქალი დაამპატიმრეს და ეს სტუმარიც დაიჭირეს.

გიორგი დუდუშაური.

## როგორი მოსავალი იყო 1900 წელს ტფილისის გუბერნიაში.

(დასასრული. იხ. გუშინდელი №-ი)

თელავის მაზრაში იმავე პირობების გამო საშუალო მოსავალი იყო; განსაკუთრებით ნათესობა შეაწუხა წვიმებისაგან გაღონიერებულმა ღვარძლიანმა ბალახებმა. ალაგ-ალაგ მომკილი პური სინოტიემ გააფუჭა. სიმინდი კარგი მოვიდა. პური, საშუალო რიცხვით, დესიატინაზე 50 ფუთიდან 60 ფუთამდე მოვიდა, ქერი 70 ფუთი და სიმინდი 120 ფუთი. რთველზე კოდი პური ღირდა 2 მ. 50 კაპ., ხოლო ქერი და სიმინდი 1 მ. 50 კ.—1 მ. 70 კ., ღვინის მოსავალი ცუდი იყო; $1^1/_2$ დესეტინა ვენახში მოვიდა არა უმეტეს 96 ვედრისა. შაბიამანით ვენახებს უწამლეს ორჯელ, ხოლო ხუთჯერ გოგირდით. კარგი მოსავალი ჰქონდათ მათ, ვინც შესძლეს რიგიანად ვენახებისათვის წამლობა.

ბორჩალოს მაზრაში პურის მოსავალი გვარიანი იყო. თრიალეთის საბოქაულოში სეტყვამ გააფუჭა ნათესობა. ნაკლებად მოვიდა კარტოფილი. სოკოს ავადმყოფობის გავრცელებამ გააფუჭა ყურძნის მოსავალი.

თიანეთის მაზრაში ცუდი იყო მოსავალი. განსაკუთრებით გაზაფხულის ნათესობისა. მიზეზი ის იყო, რომ გაზაფხულზე ცივი ამინდები დაიჭირა. განსაკუთრებით დაზარალდა ერწო-თიანეთის ხეობა. საზოგადოდ ამ მაზრაში ისეთი ნაკლები მოსავალი იცის, რომ კარგი მოსავლის დროსაც სიღნაღის მაზრიდან ეზიდებიან პურს. უმთავრესად მცხოვრებლები მეცხვარეობას მისდევენ.

ეს სამი წელიწადია დუშეთის მაზრაში ზედი-ზედ ცუდი მოსავალია თუ სეტყვისაგან, თუ გვალვისაგან. ამ მხრით განსაკუთრებულს შევიწროებაში არიან ქ. დუშეთის ახლო-მახლო სოფლები. აღნიშნულს წელს გლეხებმა სესხად მიიღეს 1,200 მან. თავიანთ სასოფლო-სამეურნეო თანხიდან ყანებისათვის თესლის შესაძენად. შარშანდელ მოუსავლობით ისეთ ცუდ მდგომარეობაში არიან, რომ თუ წელსაც ასეთი მოუსავლობა იქმნა, სრულიად განადგურდებიან, განსაკუთრებით გლეხ კაცობა. საზოგადოდ კი მოსავალი გვარიანი იყო. პური ორთა შუა რიცხვით დესეტინაზედ მოვიდა 60 ფუთი, ქერი—80 ფუთი; ყურძნის მოსავალი, როგორც ხილეულობისაც ცუდი იყო. ბილახი მშვენიერი მოვიდა.

საუკეთესო მოსავალი იყო პურისა ისევ გორის მაზრაში, თუმცა წვიმებმა თავ-თავის დასრულება და მარცვლის დამწიფება ერთის თვით შეაჩერა. პურის მკას ივნისის მეორე ნახევრიდან შეუდგნენ. აგვისტოს პირველი რიცხვებიდან ბოლომდე ცივი წვიმები იყო, რისგანიც მეტად გაფუჭდა ყანებში მომკილი და დადგმული პური. ამის გამო გლეხობა დიდს საგონებელში ჩავარდა. დესეტინა მიწაზე პური მოვიდა 50—60 ფუთამდე. კარგი მოსავალი იყო სიმინდისა. ხილეულობა ძლიერის ქარებისაგან გაფუჭდა. ვენახები ივნისსა და ივლისში თუმცა კარგად იყვნენ, მაგრამ აგვისტოს ცივმა წვიმებმა გამოიწვიეს სოკოსა, მილდიუსა და ოიდიუმის ავადმყოფობანი, რისგანაც ყურძნის მოსავალი განახევრდა. ხსენებულმა ავადმყოფობამ მით უფრო ცუდი შედეგი იქონია, რომ გორის მაზრაში ნაკლებად მისდევს ხალხი მორწყვასა და ვენახების წამლობას. აგვისტოს ცივმა წვიმებმა მეტად ხელი შეუშალა ყურძნის ხეირიანად დამწიფებას, ზედ დაერთო სექტემბერში მოსული თოვლი, ასე რომ სრულიად მკვახე ყურძნის მოკრება დასჭირდა ხალხს.

ახალციხის მაზრაში წვიმიანი დღეები მარტიდან 9 ივნისამდე (50 დღე) გაგრძელდა; ისედაც წვიმებისაგან გაოხრებულ მოსავალს 5 ივნისს ზედ დაერთო ერთი უბედურებაც: მოვიდა სეტყვა და სულ ერთიანად გაანადგურა ყველაფერი, განსაკურებით ვენახი და ხეხილები. ხილი ნაკლებად მოვიდა. პურის მოსავალი საშუალოზედ მცირე იყო.

ყველაზედ უფრო დაზარალდა შარშან ახალქალაქის მაზრა. 1899 წლის მიწის ძვრას და ამ წელს წვიმებისაგან უკიდურეს მდგომარეობაში ჩაყენებულს ნათესობას ზაფხულში ზედ მიემატა თითქმის ორმოცი სოფლის მცხოვრებთა ნათეს ყანებში გოტენტოტურ ბალლინჯოსი და სხვა მწერების გავრცელება. როგორც ბევრჯელ გვქონდა აღნიშნული, მაზრაში დღესაც შარშანდელ მოუსავლობით 23 სოფლის მცხოვრებლები არიან უკიდურეს მდგომარეობაში; საჭიროა ხალხის გამოსაკვებად 40,000 მანეთი.— ჯერ-ჯერობით შემწეობა აღმოუჩინა მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ ტფილისის უმთავრეს კომიტეტისაგან 6,000 მანეთით.

# საღამოს დეპეშები

23 მარტი

**პეტერბურგი.** „პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ში მოთხრობილია ჩინეთის ამბები და აღნიშნულია რუსეთის მთავრობის განცხადებანი და დიპლომატიური საბუთები, რომელთა კილო ჩინეთის შესახებ მშვიდობიანია; წერილი თავდება შემდეგის განცხადებით: „სანამ უცხო სახელმწიფოები გააწესრიგებდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ჩინეთთან, რუსეთის მთავრობამ საჭიროდ სცნო იზრუნოს თავის მდგომარეობის გასამტკიცებლად ჩინეთის იმ მხარეებში, რომელნიც რუსეთს საზღვრავენ. ამ განზრახვით, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის მთავრობისა და მანჯურიის სამის პროვინციის მმართველთა შორის შეკრულ იქმნა დროებით წერილობითი პირობანი ამ პროვინციებში სამოქალაქო წეს-რიგის მოწყობის შესახებ. ამის შემდეგ რუსეთის მთავრობამ შეიმუშავა განსაკუთრებულის შეთანხმების პროგრამა ჩინეთთან, რომელშიაც აღნიშნულია წესი მანჯურიიდან თანდათანობით ჯარების გაყვანისა, აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომელნიც შეეხებიან მშვიდობიანობის დამყარებას ამ პროვინციებში და რომელთა შემწეობით შეიძლება თავიდან აცდენა ყოველგვარ ამბოხებისა. სამწუხაროდ, უცხოეთის გაზეთებში რუსეთის წინააღმდეგ ავრცელებდნენ საშიშარს ხმებს რუსეთის მთავრობის განზრახვათა შესახებ; იქ მოჰყავდათ გადამახინჯებული ადგილები რომელიღაც ხელშეკრულობისა და მოუთხრობდნენ საზოგადოებას მანჯურიაზე პროტექტორატის აღიარებასა და რუსეთ-ჩინეთის შეთანხმების ამბებსა. შეთანხმება კი ნამდვილად ეხებოდა რუსეთის განზრახვას მანჯურიიდან ჯარების გაყვანის შესახებ, რომელიც დაპყრობილი იყო მხოლოდ დროებით მშვიდობიანობის დამყარებისათვის. შესაფერ სამხედრო დადგენილებათა მოხდენისათვის რუსეთს წინდაწინვე უნდა სცოდნოდა, შესაძლებელია თუ არა ურთიერთშორის მორიგებით დატოვებულ იქმნას მანჯურია. მიღებულ ცნობებიდან ... და, რომ ამ მორიგებას ალმ... და დაბრკოლება ჩინეთის ... მთავ... ბის მხრივ, რის გამოც შეუძლებელი ... მნა რუსეთისაგან მანჯურიის დაუყო... ლივი მიტოვება. რაც შეეხება ამ ... სამუდამოდ დაბრუნებას ჩინეთისათვის, საკვირველია, ეს მოხერხდება მხოლო... შინ, როდესაც ჩინეთის იმპერიაში ს... მშვიდობიანობა დამყარდება და როდ... ჩინეთის სატახტო ქალაქში ფეხს მოიკ... დამოუკიდებელი და საკმაოდ მძლავრი მ... რობა, რომელსაც შეეძლება დაიცვას ... სეთის ინტერესები; მანამდის კი მანჯუ... ში რუსეთი სტოვებს დღევანდელს წყ... ბილებას, რათა დაიცვას წესრიგი რუ... საზღვრებზე; ამასთანავე იგი უარს არ ... ადრინდელ თავის პოლიტიკას ჩინეთი... სახებ. რუსეთის მთავრობა დამშვიდ... მოუცდის, რა მიმართულებას მიიღებ... დეგში ჩინეთის საქმეები“.

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემე... ალ. ჯაბა...

# გამოსადეგი ცნობანი

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლე...

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის ... ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ... ქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათ... დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ... ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფ... სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 ... ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. ... ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ... ლისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. ... წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 ... 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმ... დის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 ... ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8...

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ... ლისშა გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. ... 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 2... (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათ... გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბა... ში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9...

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმ... ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (... 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. ... (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბა... გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 ... ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 2...

საფოსტო მატარებელი № 4 ბათ... (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 1... 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბა... გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 ... ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.)

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—7 მან. | — კ. | № 4—6 მან. | 7... |
| № 1—7 » | 25 » | № 5—6 » | 5... |
| № 2—8 » | 25 » | № 6—6 » | ... |
| № 3—9 » | 75 » | № 7—5 » | 7... |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41...
ქერი როსტოვში 50 კ.-დამ 57 კ.-მდე, ... როსხიაში 59 კაპ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფუთისა—87...
შაქარი იქვე ფუთი . . . 6 მან. 80
» ფხვნილი » . . . . 5 » 30

მატყლი ისპანიური თეთრი—ფუთი გა... თავებელი 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მა... $10^0/_0$ შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. —4 მ. — კ., გარეცხილი — მან. — ისპანიური ჯიშის ცხვრის ტყავი თითო — კაპეიკამდე



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ბისა, განქის დიდი ქუჩა, № 27.